სილქნეტი
SILKNET

№ 274/24-6 „12" 04 2023

სსიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელი საფარლოს საჯარო სკოლა"
მის: ქ. დმანისი, სოფელი საფარლო
საკონტაქტო ტელ: 551083024

მოგესალმებით,

თქვენგან შემოსული წერილის (№ MES 5 23 0000382552 - 05/04/2023) პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული სკოლის ტერიტორიაზე (ს/კოდი: №82.15.41.066), არ გადის სს „სილქნეტის" კუთვნილი კომუნიკაციები.

სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდება სს „სილქნეტის" კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, გამცხადებელი (სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
- აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს "სილქნეტის" წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახური ნომრებზე: 2950029 ან 2932740.
- წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში" შეთანხმების მისაღებად.

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 6291/1
12/04/2023

6291-1-2-202304121437

სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის
სოფ. საფარლოს საჯარო სკოლას
*(საკონტაქტო ტელ: 551-08-30-24)*

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" *(შემდგომში-კომპანია)* განიხილა თქვენი მ/წლის 7 აპრილის №: MES 6 23 0000382896 *(კომპ. რეგისტრ. №1/9627)* წერილი, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. საფარლოში არსებულ მიწის ნაკვეთზე *(საკადასტრო კოდი: 82.15.41.066)* წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ადგილმდებარეობის დაზუსტების შესახებ.

გაცნობებთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. საფარლოში არსებულ მიწის ნაკვეთზე *(საკადასტრო კოდი: 82.15.41.066)* შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" გეოინფორმაციული სისტემების მონაცემთა ბაზისა და ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევის მიხედვით, არ არის განთავსებული კომპანიის წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნიკაციები.

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

## დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

## ბრძანება

ბრძანება №108 108231717

თარიღი:20/06/2023

### დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოში სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლის (ს/კ:N 82.15.41.066) სადემონტაჟო სამუშაოების პროექტის შეთანხმებისა და სადემონტაჟო სამუშაოების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის დადგენილება №255 2019 წლის 31 მაისი „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" თანახმად და სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის ქალაქ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 19/06/2023 წ. №06-108231702-108 განცხადების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შეთანხმებულ იქნას სოფელ საფარლოში სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლის (ს/კ:N 82.15.41.066) სკოლის შენობების სადემონტაჟო სამუშაოების პროექტი და გაიცეს სადემონტაჟო სამუშაოების მშენებლობის ნებართვა.

2. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს: 20/06/2023 წ. - 20/12/2023 წ.

3. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი; სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს, ჩვენი სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე;

   - აწარმოოს დემონტაჟი ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
   - აწარმოოს დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმებისა და სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;
   - დემონტაჟის დაწყებამდე ეცნობოს საინჟინრო ქსელების (ელ.ქსელები, ბუნებრივი აირი და სხვა) შესაბამის ორგანიზაციებს, რათა სადემონტაჟო ობიექტის გათიშვა მოხდეს საერთო სისტემებიდან;
   - მშენებლობის პროცესში დაგროვილი სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნას დმანისის მუნიციპალიტეტში სამშენებლო ნარჩენებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე;
   - მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები;

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს კახა პეტრიაშვილმა-მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 23 0000687098

შემოწმებულია

14/06/2023

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ დმანისის
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს
მაია ხმალაძეს

ქალბატონო მაია,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი N467983 28/04/2023წ. წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაგეგმილი საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა/რეაბილიტაციის განხორციელების ფარგლებში (N591223 24/05/2023), სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლამ, **ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ბალანსზე) რიცხული დემონტაჟს დაქვემდებარებული, ამორტიზებული შენობების ჩამოწერა, დემონტაჟი და საბუღალტრო, სააღრიცხვო ჩანაწერებიდან მოხსნა (ძირითადი აქტივების ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,** კერძოდ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი მომსახურების ცენტრის თანხმობისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნებართვის საფუძველზე, ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების მე-7 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროცესების (ჩამოწერა/დემონტაჟი) განხორციელება წარმოადგენს იმ სახელმწიფო დაწესებულების (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები) ვალდებულებას, რომელსაც სარგებლობაში აქვს გადაცემული ჩამოწერა/დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობები.

ამასთან, დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების" შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

№5263729
25/04/2023

**სოფელ საფარლოს საჯარო სკოლის დირექტორს**
ბატონ: ნათიკ ომაროვ-ს
მის: დმანისი-ს მუნიციპალიტეტი სოფ: საფარლო
ტელ:551 08 34 66

ბატონო ნათიკ,

თქვენი 2023 წლის 7 აპრილი-ს (შემ. №9044633) წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ: საფარლოს საჯარო სკოლის (ს/კ 82.15.41.066 ) სამშენებლო სამუშაოებს და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიებზე განთავსებული, კომპანიის კუთვნილი მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზების ადგილმდებარეობის დაზუსტებას, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ საკადასტრო კოდით ვერ ხერხდება ნაკვეთის იდენტიფიცირება. საკითხის უკეთესად შესწავლის და შემდგომში რაიმე სახის გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია თქვენს მიერ მითითებული ტერიტორიების ადგილზე გავლა განხორციელდეს ერთობლივად, რა დროსაც ჩვენი თანამშრომლები მიუთითებენ კომპანიის საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების ადგილმდებარეობას და მოახდენენ მათ იდენტიფიცირებას.

ამ მიზნით, გთხოვთ დაუკავშირდეთ სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის, დმანისის მომსახურების ცენტრის ტექნიკურ სამსახურს.

საკ. პირი: ნუკრი ჩხეტიანი ტელ: 577 35 38 01

პატივისცემით,

ფილიალის მთავარი ინჟინერი

ზურაბ ჯაფარიძე

შემს: ბუხაკ ყოგოლაძე 577 35 33 06

8, ვახუშტის ქ.
რუსთავი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge


**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

**29 / ივნისი / 2023 წ.**

KA021714965348323

№ **10/35461**

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის
სოფ. საფარლოს საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონულ სამსახურში შემოსული თქვენი 22.06.2023 წლის N MES 1 23 0000744114 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ საფარლოს საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ N82.15.41.066) ჩამოწერა/ დემონტაჟი, კერძოდ: ჩამოწერა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის № 82 და დემონტაჟი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს № 239 დადგენილებების შესაბამისად, იმ პირობით, თუ სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება, სადემონტაჟო სამუშაოები შესრულდება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით და შენობა - ნაგებობების ჩამოწერა/დემონტაჟის შემდგომ შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილება საჯარო რეესტრის ამონაწერსა და საკადასტრო გეგმაში.

ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მანანა მსხილაძე

SGG-E-LT-2023-4-12/014470042

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
ID 202403121
300 Aragveli Str. 24
Georgia, Tbilisi, 0144
Tel: 16 114
E-mail. socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საჯარო

სკოლის წარმომადგენლებს

№ O-SGG-E-LT-2023-4-12/01 12.04.2023

ბატონო/ქალბატონო,

შპს "სოკარ ჯორჯია გაზმა" განიხილა თქვენი 2023 წლის 5 აპრილის N MES 230000382640 წერილი, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგარლოში არსებული საჯარო სკოლის (ს/კ 82.15.41.066) ტერიტორიაზე ინფორმაციის მოწოდებას ჩვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზსადენების შესახებ და ითხოვთ თანხმობას აღნიშნული სკოლის დემონტაჟზე. გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული სკოლის ტერიტორიაზე ჩვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზსადენები არ მდებარეობს. ჩვენი კომპანიის გაზსადენები მდებარეობს აღნიშნული სკოლის ტერიტორიის გარეთ ე.წ წითელ ხაზებში. შესაბამისად ჩვენი კომპანია არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული შენობის დემონტაჟის სამუშაოები. ჩვენი გაზსადენის დემონტაჟის საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ შპს"სოკარ ჯორჯია გაზის" ლანჩხუთის სერვის ცენტრს, სადაც ჩვენი წარმომადგენელი იქნება აღნიშნული სერვის-ცენტრის მეპავარი ინჟინერი ბატონი ვალერი გრიგალაშვილი ტელ: 577185956

პატივისცემით,

ზაზა მღებრიშვილი

საავარიო-საექსპლუატაციო სამსახურის უფროსი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990197650308423

№17/1035

10 / აპრილი / 2023 წ.

ქალაქ დმანისის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის დირექტორს,
ქალბატონ მაია ხმალაძეს

ქალბატონო მაია,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის [illegible] აპრილის MES 3 23 0000385322 კორესპონდენცია დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლის ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით.

კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, გაცნობებთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლის შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და ის არ ექცევა რომელიმე ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
დამოწმებულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი